სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
№ MDF /D/NCS/014-2014

ქ. თბილისი „28" იანვარი 2014წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „შესყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი"): ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.2 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.3 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.4 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

2.1 ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ბა-ნი ელგუჯა ხოკრიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „მაგთიკომი" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ბ-ნი გია კოშორიძის სახით, „საკომუნიკაციო მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N1805 განკარგულების პირველი პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10- მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3.ხელშეკრულების საგანი

3.1.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველის მფლობელობაში არსებული 16 ერთეული (Dual mode (HSPA+/EVDO) USB) მოდემი (შემდგომში „მოდემი) მოდემის საშუალებით მიაწოდოს შემსყიდველს მაღალსიჩქარიანი უკაბელო ინტერნეტ მომსახურება (HSPA+ ქსელში 14.4 მეგაბიტამდე წამში და EVDO ქსელში 3.1 მეგაბიტამდე წამში, 5 GB თითოეულ მოდელზე ერთი თვის განმავლობაში). (CPV კოდი 72400000 - ინტერნეტ მომსახურებები), ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიიღოს აღნიშნული მომსახურება და უზრუნველყოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
3.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი სრულად უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს მხარეთა შორის შეთანხმებულ მოთხოვნებს

4.მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1.მომსახურების გაწევის ვადები:
4.1.1.წინამდებარე ხელშეკრულების 7.6.2. პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი ანგარიშსწორების შემდგომ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღიდან მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მომსახურების გაწევის დაწყება;
4.1.2.მომსახურების მიწოდება ხორციელდება ეტაპობრივად 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2.მომსახურების მიწოდების ადგილი
4.2.1. მაღალსიჩქარიანი უკაბელო ინტერნეტ მომსახურების მიწოდების ადგილია მიმწოდებლის რადიოსატელეფონო სიგნალის დაფარვის ზონა.

5.ხელშეკრულების ღირებულება

5.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 5280 (ხუთიათას ორასოთხმოცი) ლარს.
5.2.მოდემის რაოდენობა, ინტერნეტ მომსახურების ერთი კალენდარული თვის ფასი თითოეულ მოდემზე და საერთო ღირებულება განსაზღვრულია დამატების N1 მიხედვით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5.3.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს რიგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ინტერნეტ მომსახურება ჩითვლება მიღებულად მიმწოდებლის მიერ შესაბამისი თვის მომსახურების შესახებ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. თუ მომსახურების მიღებისას არ იქნა შედგენილი ინსპექტირების აქტი მომსახურების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შესახებ.

7.6.წინასწარი ანგარიშსწორება

7.6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარში. მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.6.2.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება წინასწარი ანგარიშსწორებით, ხელშეკრულების ღირებულების არაუნეტეს 100%-ის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ შესაბამის თანხაზე წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის საფუძველზე. წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

7.6.3.წინასწარი ანგარიშწორების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან, არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში. წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტია. რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

7.6.4.წინასწარ გადახდილი თანხის გამოქვითვა განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.1. შემსყიდველს მიაწოდოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

8.1.2.კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;

8.1.3. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

8.1.4. აღმოფხვრას მომსახურებაში არსებული შეფერხებები და ადადგინოს ქსელის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირება გონივრულ ვადებში, ტექნიკური შესაძლებლობების და მის ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში. მაგრამ არაუგვიანეს მიზეზის წარმოშობიდან 12 საათის განმავლობაში ან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

8.1.5. მოთხოვნის შემთხვევაში. მიაწოდოს შემსყიდველს ამომწურავი ინფორმაცია ტარიფების, ანგარიშსწორების წესის, ასევე შემსყიდველისათვის საჭირო სხვა საკითხების (რომელიც მიმწოდებლის მომსახურებას შეეხება) შესახებ;

8.1.6. მომსახურების მიწოდებისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ტექნიკური ნორმები;

8.1.7. მომსახურება მიაწოდოს დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში, უწყვეტად, გარდა გადაუდებელი სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა და რომელიც შეესაბამება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილ ტექნიკურ ნორმებს, სტანდარტებს და ოპერატორის ლიცენზიის პირობებს. რადიოტალღების ბუნებრივი გავრცელების თავისებურებების გამო, მომსახურება შესაძლებელია არ იყოს უწყვეტი ან შეფერხებული. რადიოსიგნალი შეიძლება დაიკარგოს ან მომსახურების ხარისხი შესაძლოა გაუარესდეს. განსაკუთრებით წვიმებში, კვეთებში. ან სხვა მიზეზებების ნაგებობებში ან მომსახურების მიღების ადგილის გეოგრაფიული, ბუნებრივი-ეკონომიური ან სხვაგვარი თავისებურებებიდან გამომდინარე;

8.1.8. მომსახურების მიწოდება დაიწყოს ქსელში ჩართვა წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად. მაგრამ ანგარიშსწორებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;

8.1.9. მომსახურების მიწოდების შეფერხების, მიღწოდებლობის ან ცუდადხარისხად მიწოდების შემთხვევაში, გადაუხადოს მემსყიდველს კომპენსაცია ყოველ საანგარიშო პერიოდი ხუთმეტი მეორე 1 საათის განმავლობაში საშუალოდ ფაქტიურად მიღებული მომსახურების სგფასურის 1 პროცენტის ოდენობით. ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე 8.1.4. ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდგომ.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.2.3. ერთი კვირით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებაში მითითებული მის რეკვიზიტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

8.2.4. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას კომუნიკაციების სფეროსათვის დამახასიათებელი არაკეთილსინდისიერი ქმედების დაფიქსირების შემთხვევაში, მიიღებენ ყველა ზომას აღნიშნული ქმედების დროულად აღსაკვეთად. არაკეთილსინდისიერი ქმედების დროულად აღსაკვეთად მიმწოდებელი უფლებამოსილია შეუზღუდოს შემსყიდველს მომსახურების მიწოდება.

9. მხარეთა უფლება

9.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:

9.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

9.1.2. შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შემსყიდველი, თავისი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას ან მის გარეშე, მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულებით მისთვის შეთავაზებული მომსახურების მიწოდებას ნებისმიერი ფორმით მესამე პირებისათვის სასყიდლით (მოგების სარგებლის მიღების მიზნით)

9.1.3. ცალმხრივად დაადგინოს ან და შეცვალოს მომსახურების პირობები, სახეები, წესები, ტარიფები, საფასური გადახდის წესები და სხვა პირობები, ნებისმიერი ცვლილების შესახებ, შემსყიდველს ეცნობება წერილობით ასეთი ცვლილების ძალაში შესვლამდე 10 სამუშაო დღით ადრე.

9.1.4. დროებით, ნაწილობრივ ან სრულად შეაჩეროს მომსახურების მიწოდება, იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მიღებისას: ზიანს აყენებს ოპერატორს; სხვა ამონონტენტს ან მესამე პირებს; მოდემის გამოყენებით ან საიდენტიფიკაციო კოდის გამოყენებით ხდება ქსელში უნებართვო ჩართვა; ახორციელებს მრავალჯერად მცდელობებს არარსებული გადახდის ბარათის გააქტიურების მიზნით; აწარმოებს სპამის, დაუშვებელი პროდუქციის, კომპიუტერული ვირუსის, თაღლითური, ან მავნე პროგრამების გავრცელებას, ან გადამისამართებას, ან ახორციელებს სხვა, მათ შორის, მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს; მოგების მიღების მიზნით ან მოდემით მოსარგებლე პირი სხვაგვარად არღვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

9.1.5.მოდემის ანგარიშზე თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული პერიოდის გასვლის შემდგომ გაალქმოს წინამდებარე ხელშეკრულება;

9.1.6. წინასწარი გადახდის სისტემის ბარათის კოდის მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული ოდენობით არასწორად აკრეფვის შემთხვევაში შეაჩეროს მომსახურება შესაბამის მოდემზე წინასწარი შეტყობინების გარეშე.

9.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

9.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი და შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებთან.

9.2.2. მოითხოვოს მომსახურების გაუწევლობა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებელს 30 კალენდარული დღით ადრე.

9.2.3.წინამდებარე ხელშეკრულების 9.1.3. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომის დროს, თუ აღნიშნული გარემოების შედეგად ეარსებდება შემსყიდველის პირობები, ეარი განაცხადის შეფასებული გარემოებებით მომსახურების მიღებაზე და შეწყვიტოს ხელშეკრულება

9.2.4.ეარი განაცხადის არაუარყოფად მიწოდებული მომსახურების მიღებაზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება გაშხილული რიგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია ჩინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს იმით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოიწვევი მიზეზების შესახებ.

11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

11.1 თუ რაიმე ჩინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.2 ჩინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1.მხარეთა მიერ ჩინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხიმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს ჩინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

13.3.მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი შემსყიდველისთვის ან მესამე პირებისათვის მიყენებულ არაპირდაპირ ზიანზე, მათ შორის, წარმოების ან საქმიანობის შეჩერებაზე, მოსაცლათა დაკარგვის მიყენებული სარგებლის ან ნაკლების, ან სხვა არაპირდაპირი დანაკარგისათვის ან მათი შედეგებისათვის.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს ვადაზე ადრე:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით ინიციატორი მხარის მიერ მეორე მხარისათვის 30 დღით ადრე წარდგენილი შეტყობინების საფუძველზე;

14.1.2 ჩინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებში.

14.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განახორციელებს სამ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის თანამშრომელი ან ნებისმიერ აღვილარმ.

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. შემთხვევაში გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

15.2.1.მიწოდებული მომსახურების ხარისხის და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ინსპექტირების აქტის შედგენა.

15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 01 თებერვლის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

17.2. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ჯარიმის პირგასამტეხლოს დაკისრება წარმოადგენს მხარეთა უფლება და არა ვალდებულებას დამრღვევი მხარის მიმართ და ამ უფლების რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, პირგასამტეხლოს/ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.4. წინამდებარე ხელშეკრულების მუხლების/პუნქტები დასათაურებულია მხოლოდ ხელშეკრულების შინაარსის აღქმის მოხერხებულობისათვის და გავლენას არ მოახდენს მათ ინტერპრეტირებაზე.

17.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.6. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან" ერთი ეგზემპლარი „მიმწოდებელთან"

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ საქართველოს მუნიციპალური	შპს „მაგთიკომი"
განვითარების ფონდი	ს/კ: 204876606
ს/კ 206074193	მის: ქ.თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ.#5
ქ.თბილისი აღმაშენებლის გამზირი N150	სს ვითიბი ბანკი ჯორჯია
სს ბანკი რესპუბლიკა	ანგ. # GE73VT0660000000423607
ბანკის კოდი № 220 101 757	კოდი: UGEBGE22
ანგ GE34BR0000010975120582	
---	---
ელგუჯა ხოკრიშვილი	გია კოწორიძე
აღმასრულებელი დირექტორი	გენერალური დირექტორის მოადგილე

5280 (ხუთიათას ორასოთხმოცი) ლარს.

2014 წლის „ „ ივნისის N MDF /D/NCS/013-2014 სახელმწიფო შესყიდვების წესით ხელშეკრულების დანართი N1

ინტერნეტ მომსახურების ერთი თვის ღირებულება (5GB) (ლარი)	თვეთა რაოდენობა	ნერტილი (მოდემი)	ინტერნეტ მომსახურების საერთო ღირებულება (ლარი)
30	11	16	5280

"შემსყიდველი"

სსიპ საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდი

ელგუჯა ხოკრიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

"მიმწოდებელი"
შპს „მაგთიკომი"

გია კოშორიძე

გენერალური დირექტორის მოადგილე